წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. ხუთშაბათი ივნისის 29 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ, კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადება ... ერთ თითოეულ ... სამ ...
2 საათ. 5 მ.
... 3 მ.

№ 66 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 66

მეხ დაცემული მეუღლე მარიამ (მაშო) კონსტანტინეს ასული დები მარიამ ივანეს ასული თავზარაშვილისა, ნინო ივანეს ასული ჰაჭიაშვილისა, ძმა ალექსანდრე ივანეს ძე მხეიძე შვილებით, სიმავრი კონსტანტინე დავითის ძე ლორთქიფანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას.

## სეფე ივანეს ძის მხეიძისას.

რომლის დაკრძალვა მოხდება 30 ივნისს დღით პარასკევს ნაშუადღევის 4 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, თბილისის ქუჩა ერისთვის სახლ. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

---

თომა სამსონის ძე მაჭავარიანი და მეუღლე მისი ანნა კოსტანტინეს ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარი

## სეფე ივანეს ძე მხეიძისას

რომლის გამოსვენება მოხდება 30 ამა ივნის დღით პარასკევს ნაშუადღევის ოთხ საათზე თბილისის ქუჩა, ერისთავის სახლიდან მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში.

---

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო მწუხარებით იუწყება თავის წევრის აზნაურების დეპუტატის

## სეფე ივანეს ძის მხეიძის

**გარდაცვალებას**, რომლის სულის მოსახსენებლათ 30-ს ამა ივნისს, დღის 12 საათზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში (აზნაურობის სახლი, ჭავჭავაძის ქუჩა).

---

შაბათს კვირკობისთვის 1 დანიშნულია პანაშვიდი და წირვა

## ვასილ ბარნაბეს ძის მდივანის

სულის მოსახსენებლად გთხოვთ ნათესავთ და ნაცნობთ დაესწროთ ბაკისუმის წმინდა გიორგის ეკლესიაზე შაბათს დილის 9 საათზე, რათა ანუგეშოთ დამწუხრებული ქირისუფალი. პატივისცემით ბარნაბა მდივანი.

---

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

## 1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

---

ოთხშაბათს 28 ივნისს, საღამოს 7 საათზე. შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო

## კრება

**განსახილველია:**

1) განხილვა და დამტკიცება წარსული სამოქმედო წლის ანგარიშისა;
2) მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

---

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

ია. ეკალაძე.—ჩვენი ქალების საყურადღებოდ.
ინ-ხანი —თანამოაზრე ქალებს.
ი. იმერელი.—რა ელის საბერძნეთს.
Lado —საერთო ბიუროსი.
ჯიხ.—ომი.
სომხური პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ამიერ კავკასიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილებანი. დარიგება ქალაქის თვითმართველობას. მონარქიის აღდგენა ჩინეთში. უკანასკნელი ამბები. მოწერილი ამბები. ახალი ამბავი.

---

## სატასტრო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიმოვეპისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



ხუთშაბათს ივნის 29 გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობნი. 42 დღეა ქალთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს იჭიდავებს

3 წყვილი 1. ვის ვის? ძალა ხერხის წინააღმდეგ რომანოვა და რიურიკი; 2. აზელგროკი. და ივერი; 3. ბელანი და ანატემა; დასაწყისი 8 ნახევარ საათზე ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

**ანონსი:** მზადდება გრანდიოზული ბენეფისი ქალთა ჩემპიონატისა: მელნიკოვის და ნიორკის. აგრეთვე მზადდება ბენეფისი კლოუნებისა ფლორენსის და კრისტის

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივნისის 26, 1917 წ. ნაჩვენები იქნება დრამა 5 ნაწ. სცენარიუს ანატოლია კაშენსკოის მეოხებით.

**ფიალა აკრძალული სიყვარულისა**

უმთავრეს როლებში მონაწ. ვ. ვ. მაკსიმოვი, მ. კასაროვა და ი. ნ. ხუდოლეევი ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ივნისის 26, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი გამოჩენილ მსახიობების მონაწილეობით: ვ. ა. კარალისა, ვ. ა. პოლონსკის, ა. დ. რინდინის და ნ. პერესტიანის.

## შ უ რ ი ს მ ი ე ბ ა

მხატვრული დრამა 5 ნაწ.

**მილიონერი ერთი საათით**

სახუმარო, 2 ნაწ. მონაწ. გამოჩენილ იტალიის მსახიობისა რუდოლფის.

---

ს. სიქთარუაში (შორაპ. მაზ.)

გაიხსნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური

## კლუბი.

წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 8 საათამდე.

სიქთარუის კომიტეტი.

---

**იბეჭდება და მალე გამოვა**
ნარკვევი
**ტიტე მარგველაშვილისა**
**საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის.**

---

გამოცდილი მასწავლებელი

**(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.**

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

---

ექიმი **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტეშინსკის სახლი

---

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

---

**29 ივნისი, ქ. ქუთაისი.**

## ჩვენი ქალების საყურადღებოდ

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი დღეს ჰმართავს ამ პარტიის წევრთა და თანამგრძნობ ქალთა კრებას ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დარბაზში.

,,ერთხელ, მხოლოდ ისიც ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრებაო! აღტაცებით გაიძახოდა რუსობანათი გულ-მოკლული, მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი პოეტი საქართველოისა აკაკი და კვლავ ენატრებოდა ასეთი კრების ნახვა...

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მრავალრიცხოვანი იქნება დღევანდელი კრება ქართველ ქალთა, მაგრამ ხანდახან **რაოდენობას** არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, რამდენიცა აქვს **თვისებას**,—ვინაიდგან საქართველოს მეორე დიდი პოეტის, ილიას, თქმისა არ იყოს ხშირად ,,**ხმები უნდა აიწონოს ხოლმე და არა დაითვალოს**‘‘. და მართლადაც ზევრჯერ ერთი **შეგნებული** ადამიანის ხმა სჯობია ათასი **შეუგნებელის** ხმას იმ დროს, როცა გინდათ შეაფასოთ ღირებულება ამა თუ იმ საგნისა და განსაჯოთ ზნეობრივი მნიშვნელობა ამა თუ იმ მოვლენისა...

მართალია ხალხთა ამბოხებისა და აღრეულობის დროს ხშირად ფიზიკურ ძალამდე მისულს უმრავლესობასა აქვს ხოლმე გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ ამავე ხალხის აღრეულ ცხოვრების დაწყობა-დალაგებას ხშირად ახერხებს ხოლმე შეგნებული და თავდადებული მეობა ამა თუ იმ ადამიანისა...

ვინ იკავებს, ჯერ-ჯერობით მაინც, დღევანდელ რუსეთს სამოქალაქო ომისაგან, სრულის განადგურებისაგან?

— კ. ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ა. კერენსკი!

ესენი ისე ოსტატურათ, ისეთის მოფიქრებითა და მოსაზრებით უსვავენ ნიჩბებს რუსეთის ამღელვარებულ ცხოვრების ტალღებში, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივობის ხომალდი ჯერ კიდევ არ დაღუპულა.

ჩვენ არ ვიცით, რა იქნება ხვალ, ზეგ, მაზეგ;—ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ რუსეთის მომავლის შესახებ, მაგრამ ყოველგვარ **გატაცებას** რომ აწონასწორებს **გონიერება** ამას კი ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხედავთ...

ავიღოთ თუნდა მოქმედება ჩვენის დასელებისა.

ეს ხუთმეტი, ოცი წელიწადია თავგამოდებით ებრძოდენ ავტონომიას, როგორც კონკრეტულ, რეალ მოთხოვნილებას ქართველი ერისას, მაგრამ მათმა გონიერებამ გადააჭარბა მათ გატაცებას და დღეს, თუმცა ფრთა შეჭრილად, მაგრამ მაინც გადაჭრით მოითხოვენ საქართველოს თვითმმართველობას.

ჩვენ აქაც არ ვიცით, როდის დარწმუნდებიან მათ მიერვე ავტონომიის წინააღმდეგ ამხედრებული მათი თანამოაზრე მუშები, რომ ავტონომია იგივე ფართე თვითმმართველობაა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტადა რჩება, გონიერებას გზა ეხსნება და მყარდება ნიადაგი საერთო მოქმედებისა.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ეს პარტია არც ყოფილა და არც იქნება პარტია წინ დაუხედაობისა, სამშობლოს გარეშე ალმაფრენისა...

ეს პარტია არის პარტია ქართველი ხალხის გამოფხიზლებისა, საქართველოს განთავისუფლებისა.

ამ პარტიისათვის არ არსებობს კლასთა ბრძოლა საქართველოში. მისთვის არ არსებობს არც თავადი, არც ბურჟუა, არც მუშა, არც გლეხი. მისთვის არსებობს მხოლოდ და მარტო **საქართველო**, ქართველობა, როგორც მთლიანი ერი, და **თითოეული** ქართველისაგან პირველ ყოვლისა მოითხოვს ზრუნვას არა თავისი ბისათვის, არამედ მოითხოვს თავდადებას

მთელი საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ამ პარტიას სურს დანგრეული ოჯახის—დამონებულ და დამცირებულ საქართველოს—აშენება, ხოლო როცა ეს ოჯახი აშენდება, მაშინ დაანახვებს ყველას, რომელმა ძმამ რომელი ოთახი დაიკავოს ამ განახლებული ოჯახისა.

ჩვენი პარტია არ არის პარტია არც ბურჟუებისა, არც თავადებისა, არც ბატონ ყმობისა. ჩვენ მტერი ვართ ყოველივე კერძოობით უპირატესობისა - ჩვენ გვინდა უპირატესობა მოვუპოვოთ მთელ ქართველ ერს, როგორც ეგეთს, როგორც მთლიანს და, როცა აღსდგება საქართველო, ძმამ ძმას ანგარიში მაშინ გაუწიოს!..

ვისაც გული საგულესა აქვს და ყური ყურის ადგილას, ის ადვილად მიხვდება და ამიტომ მეტის ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ საქართველო წარმოდგენილი გვაქვს ასე:

იყო ერთ დროს დიდებული, ჰირნახული და ისტორიულად უფლება მოსილი ოჯახი.

ეს უფლება-მოსილება სისხლითა ჰქონდა მოპოებული.

დიდება მისი იყო დიდება ასი ათასი თაობისა.

ძლიერება მისი იყო ნაყოფი მის შვილთა და შვილიშვილთა ძალთა განწყობილებისა.

სახელი მისი იყო სახელი შოთა რუსთაველისა და სიტყვა-პასუხი მისი იყო სიტყვა-პასუხი ილია-აკაკისა...

მაგრამ, აი დაჰბერა ქარიშხალმა, დაუნგრია ჭერი ამ ოჯახს და შვილნი მისნი დაქსაქსა, დააკნინა, გადაგვარების გზაზე დააყენა.

ნაცარ-წაყრილ კერაში დარჩალა პატარა ნაპერწკალი მოკლული გული საქართველოისა, მკვნესარე სული დაბეჩავებულის ერისა.

ასი წელიწადი ბჟუტავდა ეს ნაპერწკალი, ასი წელიწადი გმინავდა ეს სული ობოლი ერისა და აი ახლა, როცა ცა გაგვეხსნა და რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად საქართველომაც ზღვა სისხლი დაღვარა ცის ამ გახსნისათვის, ნება მოგვეცით, ბატონებო, კვლავ გავაჩაღოთ ცეცხლი კერაზე და, როცა ამ ცეცხლის მადლიანი სითბო ყისმესთვის შეგვშურდეს, მაშინ და მხოლოდ მაშინ გვიკიჟინეთ, ჩაგვქოლეთ, გაგვკიცხეთ, ხოლო ვიდრე ეს ცეცხლი არ გაგვიჩაღებია - ნურას უკაცრავათ, თუ ხმა მაღლა გეტყვით:

— ნაცარქექიაა ის, ვინც ცარიელის ხელითა და ცარიელის კალთით სხვას ხსნასა და ბედნიერებას ჰპირდება.

ასეთ ნაცარ ქექიას არასოდეს არავინ ანგარიშს არ გაუწევს, ოქროს ზვინებიც რომ ედგას და სიკეთე ყელშიაც რომ ამოსდიოდეს.

აი ეს არის ჩვენი რწმენის თავი და ბოლო, თორემ ისე, კერძოთ, თითოეული ჩვენთაგანი არავის არ ჩამოუვარდება არც ვაჟკაცობით, არც პურმარილიანობით, არც სიტყვა-პასუხით, არ გულადობით...

შერცხვეს ის ქართველი, რომელიც მხოლოდ თავის მუცელს ჩასტიროდეს!..

მაგრამ სად, სად ვნახოთ ეს **ქართველი**, რომლისთვის ვჩივით, რომლისთვის ვსტირით?

ამ ქართველს მოგვცემს თავისუფალი საქართველო, წელში გასწორებული და სრულიად თავისუფალი ქართველი ერი.

ასეთს ქართველს მოგვცემს შეგნებული და მშობლიურ ნიადაგზე განვითარებული ქართველი დედა.

და აი ამ ნიადავის შესაქმნელად, თავისუფალი ქართველი ოჯახის მოსაწყობათა და ღირსეული მომავლის დასამკვიდრებლად ვიწვევთ დღეს ქალთა კრებას, რომ ამ კრებამ საძირკველი ჩაუყაროს ქართველი კაცის გონიერებას და თავი შესწიროს ღირსეული ერის ღირსეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

კმარა თავდავიწყება და რუსული ქათინაურები. დღეს ქართველი ქალი გვერდში უნდა ამოუდგეს ქარ. მამაკაცს, როგორც დედა-კაცი, როგორც სწორი და ტოლი მისი და თავისი გრძნეული სული შთაბეროს საქართველოს ოდესღაც გულად ვაჟკაცებს.

„მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია...

აი ჩვენი ლოცვა.

ია ეკალაძე

# თანამოაზრე ქალებს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცხოვრებაში დღევანდელი დღე მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩაითვალოს. დღეს მოხდება ჩვენი თანამოაზრე ქალების შეერთებული კრება.

მართალია, რევოლუციამდი ქართველი ქალი არა ჩვეულებრივის პატივის ცემით იყო აღჭურვილი და თითქმის ჩვენს სათაყვანო კულტადაც ქცეული, მაგრამ ამას დღეს ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი ერთვის, რომ ქართველი ქალი პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე გამოდის და ამიერიდან ქართული პოლიტიკური მაჯის ცემა უფრო მძლავრი და ანგარიშგასაწევი იქნება.

მაგრამ სავალალო ის არის, რომ ჩვენს ქალებს ჯერ ჯერობით არ ახასიათებს ორგანიზაციული ტრადიციებით გამსჭვალვა.

ალბათ, როგორც ყოველი დასაწყისი დღევანდელ მიდრეკილებათ ჩვენის ქალებისა შეერთება-შეკავშირებისაკენ, მეტად ძნელი დაბრკოლებანი გადაეღობება წინ.

ეს თავის-თავად გასაგები არის და არც დაიძრახების, ვინაიდან იგინი ჯერ ვერ გამობრძმედილან პოლიტიკურ ბრძოლაში. ეხლა კი ჩვენი ქალები უკვე გამოდიან პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე და იმედია, რაც უფრო სამძიმო იქნება ბრძოლა, მით უფრო იმატებს საბრძოლველი ენერგია.

კერძოდ ჩვენი პარტიისთვის, რომელსაც მეტად მძიმე პირობებში უხდება მოქმედება, თანამოაზრე ქალების შეკავშირებას დიდი მნიშვნელობა ექნება.

სამი ბოძი ჩვენის პარტიისა: კერძო საკუთრება, დემოკრატიზმი და ეროვნება ღრმადაა დასადგმურებული ქართველი ქალის სულსა და გულში.

თამარი, ქეთევან დი ნინო,—ამათ მისცეს საქართველოს არა ნაკლები საძირკველი ეროვნული შენობისა, ვინემ რომელიმე სხვა გამოჩენილმა ქართველმა. ამათი სახელები ისევე აღაფრთოვანებს ღღევანდელი ქართველის დაჩაგრულ სულსა და გულს, როგორც შოთა რუსთველის ხსენება სიამოვნებით ათამაშებს ჩვენი სხეულის ყოველ ძარღვს. თამარ, ნინო და ქეთევან!

ესენი მუდამ სდარაჯობდნენ საქართველოს და მუდამ ეროვნულ ორგანიზმის გაღონიერებას ეტრფოდნენ.

მართალია, რუსეთის ზეგავლენამ ჩვენს ქალებსაც ჩაუქრო მამულიშვილური სულისკვეთება მაგრამ, რაკი ქართველი ქალი **ეროვნულ** პარტიის გარშემო ჯგუფდება, ჩვენ იმედიანად შევჰყურებთ მომავალ მთლიან საქართველოს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქალების ფაქიზ გრძნობას და მამულისადმი სიყვარულს არ მიჰხვდება უცხოეთიდან საქართველოსათვის გადმოტყორცნილი შხამიანი ისარი და მათი სამსახური ქართველ ერისადმი ისევე უანგარო, წმინდა და ანკარა იქნება, როგორც უანგარო, წმინდა და ანკარაა შვილის დედისადმი სიყვარული. „სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა“. აი როგორი სიტყვები უნდა ჩაინერგოს ღრმად გულში ქართველმა ქალმა.

სალამს მიუძღვნით ჩვენს თანამოაზრე ქალებს და ვუსურვებთ მხნე, ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს კეთილდღეობისათვის, ქართველი ერის აყვავებისათვის და აღორძინებისათვის.

ჩვენ გვწამს, რომ თუ ქალები ეროვნული სულით განიმსჭვალენ, საქართველო აღსდგება. მბჟუტავი ნაპერწკალი ეროვნულის სულისა სტიქიურ ცეცხლის ალად იქცევა და სამშობლოს მტრებს დასცემს თავზარს. ვაშა იმ ქართველ ქალს. რომელსაც წილი ექნება ამ სტიქიურ ცეცხლის ალის შექმნაში.

**ინ-ხანი.**

# სომხური პრესა.

სომხები ეროვნულ კრების მოსაწვევად ემზადებიან საინტერესოა ვიცოდეთ, მიიღებენ თუ არა სომხის სოციალისტ-დემოკრატები მონაწილეობას ამ კრებაში?

სომხის სოც.-დემ. ორგანო „პაიქარი“ სწერს: „დღეს როდესაც რუსეთის სახელმწიფოს წესწყობილების სრული რეორგანიზაცია ხდება. რუსეთში მყოფი ყველა დაჩაგრული ერი მოვალეა გამართოს საკუთარი ეროვნული ბჭობა და გამოარკვიოს გამოსთქვას თავის საჭიროება და სურვილი. ამ დებულებების თანახმათ ჩვენ უარყოფით ვერ შევხვდებით ეროვნული კრებას. პირიქით ჩვენ მხურვალე ენერგიული მონაწილეობა უნდა მივიღოთ ეროვნულ ყრილობაში. წამოვაყენოთ მუშათა და დემოკრატიის ინტერესები“.

# რა ელის საბერძნეთს?

„ისტორიის სიტყვა უკრიტიკო განაჩენია და მას ყველა ხმის ამოუღებლათ უნდა ემონოსო“. აი, ამ ფრაზით შეხვდა გამარჯვებული ნაპოლეონი ტახტიდან ჩამოგდებულ ესპანეთის მემკვიდრეებს. ქართველი ხალხი ამბობს: „ბედის წერა ულმობელიაო“.

დღევანდელმა ომმა ბევრ ერს წაუკითხა მოულოდნელი განაჩენი. დიდმა სახელმწიფოებმა წაახდინეს და დამოუკიდებელი არსებობა მოუსპეს- ბელგეთს, სერბეთს, მთაშავეთს, ლუქსენბურგს და რუმინეთს. დღეს დამოუკიდებულობის წართმევის აჩრდილი პატარა საბერძნეთს დასტრიალებს თავს.

ამ ორი კვირის წინად საბერძნეთის მეფემ, კონსტანტინემ გვირგვინი დასთმო და ათინას გასცილდა.

ჩვენ მაშინ აღვნიშნავდით რომ მეფე კონსტანტინე ძლიერ სახელმწიფოთა მუხრუჭმა განწირა და სამეფო სკიპტრა დაუკარგათქო ჩვენ მეფე კონსტანტინეს ბერძენთა ხალხის თვით არსებობის უკეთეს დამცველად ვსთვლიდით, რა მოხდა მას შემდეგ? გუშინწინდელი დეპეშები გვატყობინებენ; რომ საბერძნეთმა ცენტრალ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობა შესწყვიტაო“.

დღემდის შეთანხმების სახელმწიფოების პრესა ხაზგასმით სწერდა, რომ საბერძნეთი გერმანეთის გავლენის ქვეშ მოექცა, იგი ცენტრალ კავშირს ეხმარება და ოთხთა შეთანხმებას მტრობსო“.

ოფიციალი ცნობები კი გვეუბნებიან რომ საბერძნეთმა კავშირი მოსპო ცენტრალ სახელმწიფოებთანო. რაშია ჭეშმარიტება?

საბერძნეთს არა აქვს სურსათი, მისი სამხედრო ძალა არ აღემატება 300000 კაცს სამეფოს შინაური მდგომარეობა აწეწილდაწეწილია, ხაზინა ცარიელი.

ასეთ გარემოებაში მყოფ ქვეყანას არ შეუძლია გადამწყვეტ ნაბიჯის გადადგმა. საბერძნეთი გერმანეთს, ბულგარეთს, ოსმალეთს და ავსტრიას მეზობლურ ურთიერთობისაგან ეთიშება. აი, სწორეთ აქ არის ტრაღედია ბერძნის ერისა.

დღეს საბერძნეთის დარაჯათ აღარ არის მეფე კონსტანტინე.

შეთანხმების სახელმწიფოებმა მომენტი იდროვეს და მთელ საბერძნეთს დაეუფლენ.

შეთანხმების სახელმწიფოები ავანტიურის გზაზე აყენებენ საბერძნეთს.

დღეს მას დიპლომატიური კავშირი გააწყვეტინეს, ხვალ ალბათ ომს გამოაცხადებინებენ, რაც მისი დამღუპველი იქნება. საბერძნეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი როდია საკუთარ ჭკუით ნაკარნახევი.

ის აშკარა ძალ დატანების ნაყოფია.

საბერძნეთი უბედურების წინაშე წარსდგა.

**ი. იმერელი.**

# საერთო ბურუსი.

ამას წინათ ვიღაც სწერდა: „რევოლუციამ ფეხი შესდგა საერთო აღრევაში, სახელმწიფოებრივი ძალა აღარ არის და იწყება პროცესი მისი დაცემისა. გარეგნულათ მაგარი სახელმწიფო ეხლა უმწეოა ვით პატარა ბავშვიო“.

ვინც ზერელეთ მაინც თვალს ადევნებს რუსეთის ცხოვრებას, შეუძლებელია იგივე არ გაიმეოროს.

სატახტო გაზეთები დღე-მუდამ ახალს და გასაოცარ ამბებს გადმოგვცემენ და ყველასათვის ნათელია დღეს, რომ რევოლუციის ტალღა თანდათან საშინლათ აიმღვრა. თუ რევოლუციას აქამდე თანასდევდა ნგრევა და აკლება - აწიოკება, საიმედო პერსპეკტივებს ამ მხრივ არც მომავალი შლის.

ბუნტსა და დაზღვავებულ ბოლმათა ერთობლივ გადმოხეთქას ბოლო არ უჩანს და შემოქმედებითი ცხოვრება კვლავ განსაცდელშია, გვეგონა, 27 თებერვალს პეტროგრადში ამოხეთქილი, ხოლო შემდეგ მთელი რუსეთის სივრცეზე მავალი მდინარე, იხამდა რა საბედისწერო ხვეულებს, საკმაოთ დაიწმინდებოდა და კალაპოტს მოსძებნიდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ჯერ-ჯერობით მაინც.

ატმოსფერა თითქოს მოიწამლა, რაღაც თითქოს ჩამობნელდა, ყველა გაბუტულია, და ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, მთელი ეს თვალგადუწვდენელი სივრცე შეხლა-შემოხლის ასპარეზად იქცა.

ჩრდილოელმა, ცივმა ფინელმა უკვე დიდი ხანია ხმა მაღლა სთქვა: „რუსეთის მომავალი არეულია. მისი მოწყობისათვის არა მცალია. მე ჩემი მიზნები მაქვსო“. დღეს რუსეთი ფინეთს 700 მილიონ ფინურ მარკას ესესხება და აქაც მოციქულის როლი ქართველს გეგეჭკორს ხვდა წილად.

ჩვენ არ ვიცით, როგორ დასრულდება ეს მისია, ხოლო ის კი ცხადია, რომ თვისი ქვეყნის სახელმწიფოებრივობის მაძიებელი ტოკიო არც თუ ისე გულუბრიყვილია, რომ ფინეთის დოვლათს, ფინეთის კეთილდღეობას რაიმე ზიანი მიაყენოს.

უკრაინის ცენტრალ რადასადმი მომართული საყვედურები ოდესაც არ დასრულებულა. უმრავლესობა შეშფოთდა როგორ თუ გაბედე და თავში გაიღლვე შენი თავის შენადვე ყუდნებაო, მაგრამ ვინიჩენკოსა, გრუშევსკისა და სხვათა დაუღალავი მუშაობა, ტარას შევჩენკოს „ზაპოვიტი“ და რუსეთის დემოკრატიის მიერ ეროვნულ კითხვის უფრო სამართლიან საფუძველზე დაყენება, თავისას შვრება.

ცარიცინისა და კრონშტადტის ეპოპეა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მართალია 1917 წლის 12 აპრილის დეკრეტით დროებითმა მთავრობამ გააუქმა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ლინჩის სასჯელს ამ ორ კუთხეში დიდი გასავალი აქვს.

ძალით დაიჭერა და გაქურდვა ლეიხტენბერგის და ქშესინსკის სასახლეებისა: დარბევა დურნოვოს აგარაკის და „რუსკაია ვოლიას რედაქციისა, ეს უკანასკნელი შავი ხაზებია დღევანდელი რევოლუციისა.

თუ მიუმატებთ ყოველივე ამას იმ უტაქტო გამოსვლებს, რომლებსაც ბოლშევიკები აწარმოებენ მთელი რუსეთის სივრცეზე; იმ სამარცხვინო აგიტაციას რომელსაც უკვე თავი უჩენია, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, და და, რომელიც ცნობილია „ბეი ჟიდა“.ს სახელით, და სახელმწიფო სათათბიროში კონტრრევოლუციონერებას მზადებას, რომელთა უკან თავისუფლებას საფრთხედ ყაზახთა „პიკები“ უმზადდება, თქვენ დამეთანხმებით, რომ წინ საშინელი ბურუსია და იმის იქით შეიძლება ნაპრალშიც გადავიჩეხოთ.

წარსული საუკუნის სამოცდა ათიან წლებში გრმანელთა ურდოსაგან სისხლდაცლილმა და წამების ჯვარზე გაკრულმა ფრანგის ერმა პარტიული განხეთქილების მომსპობი და მთელი ქვეყნის საფრანგეთად გადამქცევი გამბეტა დაბადა, რომელმაც, მიუხედავად ათასი გაჭირვებისა, მაინც ფეხი დაჰკრა და შესძახა: „აღვსდგეთ და უმჯობესია დავიხოცეთ, მის მაგიერ რომ გადვიტანოთ სირცხვილი სამშობლოს დამხობისაო“.

რუსეთი გამბეტასაგან შორს არის, იგი ჯერ კერენსკიზე შეჩერდა. შეიძლება მან შესძლოს ღვთიური კვერთხის ხელში დაჭერა და ამ ბურუსის გაფანტვა, მაგრამ ყოველშემთხვევაში ამას მომავალი გვაჩვენებს.

lado

# ო მ ი.

გაზაფხულის კომპანიამ უშედეგოთ და უმნიშვნელოთ ჩაიარა. რუსეთის რევოლუციამ საომო მოქმედება შეაჩერა. ამ გარემოებით დიდათ ისარგებლეს გერმანელებმა და რუსეთის ბრძოლის პირზე მყოფი ლაშქარი დასავლეთის ფრონტზე გამოიყვნეს. 1 თებერვალს ინგლისელებმა და ფრანგებმა მძაფრი შეტევები დაიწყეს და რიგირიგი გამარჯვებებიც ირგუნეს, მაგრამ კრონ პრინცმა მოულოდნელად რუსეთის ხაზზე მოხსნილი ჯარი მოიშველია, რისგამოც ფრანგებმა და ინგლისელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. გერმანელებმა დაამარცხეს შეტევაზე გადმოსული მოკავშირენი.

ბრძოლისველის სხვა ასპარეზებზე [illegible] მნიშვნელობის არაფერი მოხდა.

3 აპრილს ოსმალეთის სამხედრო ბანაკმა კავკასიის ასპარეზისკენ ახალი ჯარი დასძრა და შემოტევისთვის ემზადებოდა. [illegible] ოსმალები თავიდან დაერიდენ გარკვეულ ფზის ამოჩევას [illegible]

წვრილმან თავდასხმებს კი ვერც ამერიკის ჩარევამ მისცა მსოფლიო ომს გარკვეული სახე და დასასრულის ნიშნები.

საერთაშორისო მდგომარეობა 18 ივნისამდე მეტის მეტად მიდუნებული და ნერვიული იყო, აი, სწორეთ ასეთ დროს რევოლუციურ რუსეთის ჯარმა უცბათ შეტევა დაიწყო.

რუსის ჯარი გალიციის ასპარეზით ამოქმედდა. პირველ ხანს ნაწილობრივი გამარჯვებაც მოიპოვა. რუსეთის და საერთაშორისო პრესა აღნიშნავდა, რომ მსოფლიო ომს ბედს „18 ივნისის პოლკები“ გადასწყვეტენო მაგრამ ეს მოლოდინი ჯერ ჯერობით არ მართლდება. რევოლუციურ ჯარის ამოქმედება ხანმოკლე გამოდგა. იმდროს, როდესაც რუსეთის ლაშქრის ერთი ნაწილი მტერს ებრძოდა ჯარის სხვა ნაწილებში საზარმა ანარქიამ მოდგა ფეხი.

გაცხარებით მუშაობენ ჯარში ანარქისტები და ბოლშევიკები, რომლებიც საერთო არევ დარევას იწვევენ.

გაზ. „რუსკ. სლოვო“ იუწყება, რომ დაწყებული შეტევა უნაყოფოთ თავდებაო.

ამ რიგათ ისევ წავრსდექით გამოურკვევლობის წინაშე. ძნელია იმის თქმა თუ რით და როდის დამთავრდება მსოფლიოს ტრაღედია, რომელსაც დღიდან აღმოცენებისა მალე სამი წელი შეუსრულდება.

**ჯიხ.**

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

დასავლეთის ასპარეზზე.

**ლონდონი.** ივნისის 26. ოფიციალი. შეჯგუფებული მტერი გავფანტეთ.

ასპარეზის სხვადასხვა ადგილებში ორივე მხრიდან გრძელდებოდა საარტილერიო სროლა. დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არ მომხდარა.

**პარიზი.** ივნისის 26. ოფიციალი. ფილენის სამხრეთით შუაღამისას ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. განტსენის წინააღმდეგ მტერს იერიშები მოჰქონდა. მტერი დავაზიანეთ. გერმანელებმა იერიშები მოიტანა. ბრძოლაში მონაწილეობდა 12 ბათალიონი და ჩვენმა ჯარმა თავდაცვის დროს მტერს დიდი ზარალი მიაყენა. წამოვიყვანეთ ტყვეები. შამპანში მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე მტერი მოვიგერიეთ. გარრეს ტყის მახლობლად მოხდა შეტაკება. წამოვიყვანეთ ტყვეები.

**პარიზი.** ივნისის 24. ოფიციალი. ჩვენმა არტილერიამ დღისით ენერგიული მოქმედება გამოიჩინა სერნა-აილის მიდამოებში. მტრის ცდამ მოულოდნელად თავს დაგვესხმოდენ, უნაყოფოთ ჩაიარა.

რამდენიმე ყუმბარა დაეცა გოსპიტალს მოკვდა სამი კაცი, დაიჭრა ოთხი.

ახლო-მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებდა.

რომელმაც ცეცხლი გააჩინა ქალაქში 6 ჩვენი ჰაეროპლანი ძლიერად უშენდენ ლიუდვიგჰოფის სადგურს. შენობებს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლმა იმსხვერპლა ერთი ქარხანა. ჩვენი მფრინავი ვახმისტრი გალუა ენერგიულად მოქმედებდა. დენმასეს სადგურთან ცეცხლი გავაჩინეთ. მანტევილში ავაფეთქეთ სამხედრო მასალათა საწყობი. მრაშის სადგურთან ჩვენმა ჰაეროპლანებმა ჩამოყარეს 2455 ყუმბარა. ორი ჩვენი ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

ფრინავთა მოქმედება.

**ლონდონი.** ივნისის 26. ოფიციალი. მტრის მფრინავებმა ენერგიულად მოქმედებდენ. ჩვენმა მფრინავებმა მტერზე, რამდენიმე თავდასხმა მოახდინა. მტერი დიდათ დავაზარალეთ. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ მტრის 6 აეროპლანი. მტრის 10 ჰაეროპლანი დავაზიანეთ. ჩვენ დავკარგეთ 8 აპარატი.

## რევოლუციის ამბები.

ფ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი

**სურსათსანოვაგის შემოღების გამო მომხდარი არეულობა.**

ვენზა. ივნისის 25. სურსათ-სანოვაგის შემოღების გამო, ბრბომ არეულობა მოახდინა. დაჩხრიკეს ქალაქის დუქნები, მაღაზიები, და კერძო ბინები. ჩხრეკას ნაყოფი არ მოუტანია. საღამოთი წესიერება აღდგენილ იქნა.

**მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრთა სხდომა.**

კიევი. ივნისის 25. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს წევრთა სხდომამ აღნიშნა სასურსათო საქმეთა მოუწესრიგებლობა.

**კონტრრევოლუციური აგიტაციის გამო.**

კიევი. ივნისის 25 კიევში ხდება ფარული კონტრრევოლიუციური აგიტაცია, რომელსაც შეუძლია დაღუპოს მოპოვებული რევოლუციის საქმე. ამიტომ მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლებმა მოუწოდეს რევოლუციურ ელემენტებს შეერთდენ და სასტიკი წინააღმდიგობა გაუწიონ კონტრ რევოლიციურ აგიტაციას.

**70 იუნკრის ფრონტზე გაცილება.**

ოდესა. ივნისის 25 დიდის ამბით გააცილეს სადგურამდის 70 იუნკერი, რომლებიც თავის ნებით გაემგზავრენ ფრონტზე

**მკვლელობა**

კიშინევი. ივნისის 25 ორდეევის მაზრაში გრძელდება უწესოება აგრარულს ნიადაგზე. სოფ. იუკობცში მოჰკლეს მიწის მოიჯარადრე.

**მე-8ე არმიის მთავარ სარდლის კორნილოვის მოწოდება.**

პეტროგრადი. ივნისის 26 ოფიციალი. ჩემდამი რწმუნებული არმიის ჯარისკაცნო თქვენის ხიშტების წვერებზე ბრწყინავენ თავისუფლება და ბედნიერება. რუსეთის ბედი თქვენს ხელთ არის. თქვენკენ არის მოქცეული რუსეთის ხალხის ყურადღება. თქვენ უნდა მიგვაახლოვოთ ზავს, განამტკიცოდ თავისუფლება და მოუპოვოთ მშრომელებს ბედნიერება და უფლებები. თქვენს ხელთ არის ახალი წესწყობილების განმტკიცების საქმე, თქვენა ხართ მოწინავე გმირები რევოლუციისა. ახალის შეტევებით ასახელეთ დიადი რუსეთი შეტევები უკვე დაწყებულია ყოყმანი და სურვილი უკან დახევისა თქვენ აღარ გამოქმედებსთ დარწმუნებული ვარ, რომ დღეიდან სამშობლოს მომავალი თქვენ მებრძოლ არწივების ხელშია, რომელთაც გამოქმედებსთ დღეს წინსვლის სურვილი.

## უ ც ხ ო ე თ ი.

ფ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**პრეზიდენტის არჩევა.**

ლონდონი. ივნისის 25. თემთა პალატის სხდომამ აცნობა ირლანდიის კონვენებს, რომ შეიკრიბონ დუბლინში ივლისის 12 პრეზიდენტის ასარჩევად. მთავრობა წინადადებას იძლევა პრეზიდენტის არჩევა მიენდოს თვით კონვენტსო. ირლანდიის საქმეთა სტატსეკრეტარმა თავს იდვა დროებითი პრეზიდენტის მოვალეობა.

კონვენტს უფლება ეძლევა დუბლინის მაგიერად სხდომებისათვის სხვა ქალაქი ამოირჩიოს.

**რუსეთის მისია ამერიკაში.**

ნიუიორკი. ივნისის 26. მოხდა გრანდიოზული მიტინგი რუსეთის მისიის პატივსაცემლად მიტინგზე დაესწრო 14000 რუსი. ახლო-მახლო სახლები მორთული იყვნენ წითელი დროშებით. შენობებზე იყო რევოლუციური წარწერები. „სალამი თავისუფალი რუსეთის პირველ ელჩს, გაუმარჯოს რუსეთის დროებითს მთავრობას, რევოლუციურს ჯარსა და ფლოტს, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს. მისიის წევრები, დიდის სეიმით მიიღეს, ორკესტრმა დაუკრა მარსელიოზა. მიტინგის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა რიტენბერგი, რომელმაც წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. მან ილაპარაკა, რევოლუციონერების სახელით: ჩვენი პარტიის აზრით არ შეიძლება გამოინახოს სხვა გზა ზავის მისაღწევად, გარდა ენერგიული ბრძოლის. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მანამ, სანამ არ აღვადგენთ სათანადო პირობებს, საერთაშორისო ზავისათვის. რიტენბერგმა დაასურათა აგრეთვე კანონმდებლობითი მოღვაწეობა დროებითი მთავრობისა. რიტენბერგის სიტყვას დიდის ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით შეხვდნენ. წარმოითქვა მრავალი სიტყვა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების მიერ. სიტყვა წარმოსთქვა ბახმეტევმა და მოუწოდა დამსწრეთ, რომ მიულოცონ ჯარსა და ფლოტს, რომელმაც უნდა დაიცვას, რუსეთის თავისუფლებაო. ყველა პარტიები უნდა შეთანხმებულად მოქმედებდეს, რომ ხელი შეუწყონ თავისუფლების განმტკიცებასო. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ ვიხილავთ, რუსეთის რესპუბლიკას რომელიც თავის შემოქმედებით უნარს გამოიჩენს.

დასასრულ ილაპარაკა ღენერალმა როსპმა.

**ჰინდერბურგი და ლიუდენდორფი ბერლინში ჩამოვიდა.**

სტოკჰოლმი. ივნისის 25. როგორც ბერლინიდან იტყობინებიან ბერლინში ჩასულან ჰინდერბურგი და ლინდენდორფი მათ კანცლერთან ითათბირეს

---

უქმის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნუმერი გამოვა შაბათს 31 ივნისს.

## ახალი ამბავი

— : —

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთა, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზანვა.

✦ დღეს რეალურ სასწავლებელის შენობის დარბაზში გაიმართება ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების ქალთა კრება. კრება დაიწყება საღამოს 7 საათზე. დასწრება შეუძლია უპარტიო ქალებსაც.

✦ კრება. დღეს ვაჟთა გიმნაზიაში მოხდება ქუთაისის სხვადასხვა დაწესებულებათა დარაჯების თათბირი.

✦ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ,,ქართველი მაჰმადიანთა ცხოვრება‘‘ გამოცემული ვიქტორ შალამბერიძის მიერ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი. პირველ გვერდზე მოთავსებულია როსტომ ათაბაგის მეუღლის, მარიამის სურათი, წიგნი შეიცავს 100 გვერდს და ღირს 1 მან. რედაქციამ აგრეთვე მიიღო იმავე ავტორის წიგნი ,,პაუპერიზმი და პროლეტარიის ისტორიული მიმოხილვა აღმოსავლეთის ხალხში‘‘. წიგნი 78 გვერდს შეიცავს და სუფთათ არის გამოცემული.

✦ ლექცია დღეს ქალაქის თეატრში გრ. ლაღიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემზე.„ სოც.-ფედ. და აგრარული პროგრამა“

✦ ყრილობა. 1 ივლისს ქუთ. თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქუთაისის ექიმთა პროფესიულ კავშირის ყრილობა.

✦ მაძებარი ძაღლები ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ატყობინებს ქუთ. ოლქ. კომიტეტს, რომ უსახსრობისა გამო კავკასიის სხვადასხვა ადგილებში უქმდება მაძებარ ძაღლების გასაწვრთნელი სკოლა.

✦ დღეიდან ეროვნ. დემ. პარტიის სალექციო დარბაზი გადატანილ იქნება ქუთ. რეალურ სასწავლებლის შენობაში

✦ ამინდი. ბოლო დროს ქუთაისში ძალზე ჩამოცხა.

✦ დაპატიმრება. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებით ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსმა ბ-ნმა ივ. ელენტმა დააპატიმრა სამთო უბნის კომისარის თანაშემწე აბულაძე. რომელსაც 1905 წ ჯაშუშობა ბრალდება.

✦ ახალი წრე. ქუთაისის ქართულ სამხედრო კავშირთან ამ მოკლე დროში არსდება ქართული გიმნასტიკური წრე „ამირანი.„

✦ ჭიქით წყლის გაყიდვა. სასანიტარო ექიმმა ბ-ნმა ა. მაჭავარიანმა გამოიკვლია რომ ის წყალი, რომელსაც ქუთაისში ქუჩებში ჭიქობით ჰყიდიან ჯანმრთელობისთვის მეტად მავნებელია, რადგან წყალი თურმე ბინძურ ჭებიდან ყოფილა ამოღებული. მაჭავარიანის გამოკვლევით ჯანმრთელობისთვის მავნებელი არ არის მხოლოდ კიბულის წყაროს წყალი. დღეიდან ქუჩაში გაყიდიან კიბულის წყაროს წყალი.

✦ ფეხსაცმელების კრიზისი. ქუთაისში ფეხსაცმელების შოვნა მეტად გაძნელდა

✦ რევოლუციური სასამართლო. ახლად შემდგარმა რევოლუციურმა სასამართლომ მოქმედება უკვე დაიწყო. 26 ივნისს რევოლუციურმა სასამართლომ გაარჩია პირველი საქმე მაძებარ პოლიციის აგენტებისა, მასხარაშვილის და მიქიაშვილის. სასამართლომ ისინი გაამართლა, მხოლოდ მიუსაჯა ბრძოლის ველზე წასვლა როგორც სამხედრო ბეგარის მხრივ ვალდებულებს

✦ სანატორიუმი პოლიტიკურებისათვის. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მუშათა და ჯარის კაცთა განკარგულებაში ოცი ათასი მანეთი გადასცა ბორჯომსა და აბასთუმანში სანატორიუმებიდან განთავისუფლებულ პოლიტიკურებისათვის

✦ შეღავათი ჯარის-კაცებს კავკასიის ჯარისკაცთა ცენტრალმა საბჭომ დაადგინა, იმ ჯარის კაცებს რომლებიც სამხედრო სამსახურში 1899, 1898, 1897, 1896 და 1895 წ. არიან გაწვეულნი და ამ ჟამად სახლში დასვენებულ არიან.

# განცხადება

დღეს, ხუთშაბათს ივნისს 29, 1917 წ. საღამოს 7 საათზე, ქუთ. რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების ქალთა კრება. კრებაზე დასწრება შეუძლიათ აგრეთვე უპარტიო ქალებსაც.

---

# ეროვნულ-დემოკრატიულ

## პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

---

# ხელის მომწერთა — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

# გთხოვთ თანამოაზრე

**საშუალო სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზდობას**

(ვაჟებს) შემოიარონ რედაქციაში დილის 9—2 საათამდის, ფრიად საჭირო საქმისთვის.

---

# ამხანაგო ექიმებო!

ივლისის 1-ს ქუთაისის თვითმართველობის დარბაზში საღამოს რვა საათზე დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ექიმთა პროფესიონალური კავშირის ყრილობა. ყრილობაზე განხილული იქნება კავშირის წესდების პროექტი და სხვა მეტათ საყურადღებო საკითხები, სამსახურისა და სახელმწიფო სამ. ექიმთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. სთხოვენ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ კრებას.

**ექიმთა პროფ. კავშ. კომიტეტი.**

---

## ეროვნული კითხვა

**უკრაინა.**

უკრაინის ცენტრალმა რადამ დაადგინა, დაარსდეს „გენერალური სეკრეტარიატი უკრაინის ცენტრალ რადისა“. გენერალურმა სეკრეტარიატმა უნდა განაგოს შინაური საქმეები, ფინანსები, სურსათ-სანოვაგის სასოფლო მეურნეობისა და საეროვნებათა შორის საქმეები იგივე სეკრეტარიატი სისრულეში მოიყვანს ცენტრალ რადის ყოველი დადგენილებას უკრაინელებმა გენერალურ სეკრეტარიატის შემადგენლობა უკვე აირჩიეს,

1) გენერალურ სეკრეტარიატის თავმჯდომარეთ და შინაურ საქმეთა მდივნათ დაინიშნა ს.—დ. ვინიჩენკო. 2) საერთო საქმეთა გენერალურ მდივნათ ხრისტიუკი. 3) ფინანსურ საქმეთა გენერალურ მდივნათ კოოპერატიარი ბარანოვსკი. 4) საერთაშორისო საქმეთა მდივნად ჟურნალისტი ეფრემოვი 5) მიწის საქმეთა მდივნად მარტოსი 6) სამხედრო საქმეთა მდივნად ჟურნალისტი პეტლიურა.

სამოსამართლო საქმეთა მდივნათ ნაფიცი ვექილი სადოვსკი. უკვე მოხდა ყრილობა გენერალურ მდივნებისა, რომელთაც შეიმუშავეს მომავალი სამოქმედო გეგმა.

გაზ. „რუსკ. სლოვო“ აღნიშნავს, რომ არჩეულ პირები იგივე მინისტრები არიან.

ს—დ. ვინიჩენკოს სიტყვა.

სამხედრო გემზე თავი მოყარეს უკრაინის კოოპერაციულმა სტუდენტებმა სამხედრო პირებმა, მუშებმა და ცენტრალ რადის წევრებმა. ს.—დ. ვინიჩენკო შეეხო მომენტს და რუსეთის მიერ დაწყებული შეტევის შესახებ სთქვა. „ჩვენში ბევრია ისეთი პირები, რომლებიც დიდათ წინააღმდეგნი არიან შეტევისა და უკრაინის ხსნას მხოლოდ რუსეთის დამარცხებაში ხედავენ. მაგალითად მათ მოჰყავთ პოლონეთი, რომელიც რუსეთის ხელში ვერაფერს ვერ ეღირსა ამის გარდა კიდევ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება რომ რუსეთის დრ. მმართველობა ცუდ განწყობილებით შეხვდა უკრაინის რადა“-ს რამაც ბევრი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ბევრი უკრაინელი დააყენა ავანტურისა და გერმანოფილობის გზაზე. ეს ხალხი აღიარებს, რომ უკრაინა მაშინ უფრო მეტს მიიღებს, თუ მას გარეშე სახელმწიფო დაიპყრობსო.

---

## ამიერ კავკასიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობაზე მიღებული დადგენილებანი.

**ომის და ზავის შესახებ.**

ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობის აზრით ომი გამოწვეულია იმპერიალისტური და მტაცებლობითი პოლიტიკით. რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებული ფორმულა „ომი უკონტრიბუციო და უანექსიო“ — სამართლიანი არის. ამიტომ ომი არ უნდა დამთავრდეს ერთ სახელმწიფოთა ჯგუფის გამარჯვებით მოწინააომდეგე სახელმწიფოთა ჯგუფზე. ამიტომ გლეხთა ყრილობა ვალდებულია ხელი შეუწყოს თავდაცვას და იერიშზე გადასვლას. ამასთანავე ყრილობა ზიზღს უცხადებს დეზერტირებს, რომელნიც დემოკრატიის საერთო სამსახურს გამოექცევიან.

**სასამართლოს შესახებ.**

ამიერ კავკასიის გლეხთა მომქმედ სასამართლოს ძირითადი გარდაქმნა ამიერ კავკასიაში აგრეთვე საჭიროა მისი დემოკრატიზაცია, ამიტომ ყრილობა სასურველად სთვლის შემდეგებს: 1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. 2) ზოგიერთ საქმეების სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით განხილვის წესის გაუქმებას 3) ვექილის დასწრებას წინასწარ გამოძიების დროს; 4) სასოფლო სასამართლოების გაუქმებას და მთელი საქმეების მომრიგებელ მოსამართლეების ხელში გადაცემას, 5) მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვის ხალიდებას. ესენი ხალხმა უნდა აირჩიოს; 6) საქმის წარმოება [illegible] მომრიგებელ მოსამართლეებთან, [illegible] მრიგებელ მოსამართლეებთა ყრილობაზე ადგილობრივ ენებზე უნდა იყოს. 7) [illegible] სასამართლოს [illegible] სასამართლოს დაწესება კავკასიაში, 8) ამიერ კავკასიის ყველა სასამართლო დაწესებულებებში ყველა საქმის ადგილობრივ ენებზე წარმოება, 9) საოლქო სასამართლოების გაუქმება“.

**სასურსათო საკითხის შესახებ.**

სასურსათო საკითხის მოსაწესრიგებლად სასურველია მონოპოლიის შემოღება. იღებს რა მხედველობაში უსაჭიროესი საგნების ძალზე გაძვირებას, ყრილობა სასურველად სცნობს მათზე მტკიცე ფასების დაწესებას. ამას გარდა უნდა მიღებულ იქმნას ყოველივე საშუალება, რომ დარჩენილი სურსათი თანასწორად იყოს განაწილებული ადგილობრივ მცხოვრებელთა შორის“.

**ღვინის საკითხის შესახებ.**

ორ მილიონ ნახევარ გლეხთა ინტერესების დასაცავად, რომელნიც ამჟამად უკიდურეს ქონებრივ გაჭირვებას განიცდიან, ყრილობა საჭიროდ სცნობს ღვინის გაყიდვის აკრძალვის გაუქმებას. ყრილობა სასურველად სცნობს ღვინით ვაჭრობას ადგილობრივი ორგანოების ზედამხედველობით. უნდა მოწესრიგდეს ჯარისთვის და ლაზარეთებისთვის ღვინის შეძენის საქმე“.

**დამფუძნებელ კრების შესახებ.**

ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობა ჰფიქრობს, რომ დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი საკითხები უნდა გადაჭრას:

1) უნდა დაამყაროს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა.

2) ყველა იმ საკითხების ლიკვიდაცია, რომელნიც ომთან არიან დაკავშირებულნი. 3) მიწის საკითხი. 4) მუშათა საკითხი. 5) ეროვნული საკითხი. 6) ადგილობრივი მართველობის ორგანიზაცია. 7) სავალდებულო სწავლის შემოღება. 8) სკოლების ნაციონალიზაცია.

ამასთანვე ყრილობა იმედოვნებს, რომ ყველა ეს საკითხები დამფუძნებელ კრებაზე დემოკრატიის სასარგებლოდ იქნება გადაჭრილი.

**წყლის საკითხის შესახებ.**

გლეხთა ყრილობა მცხოვრებელთა საკეთილდღეოდ სასურველად სცნობს წყლის კომისიების დაარსებას. ეს კომისიები წყლის საკითხს ადგილობრივ მოაწესრიგებენ“

(დასასრული იქნება)

---

## მონარქიის აღდგენა ჩინეთში.

1912 წ. ჩინეთის იმპერატორი სიუან ტუნი, რომელიც მაშინ რვა წლის იყო, ტახტიდან გადადგა. იმპერატორის გადადგომას ხელი მოაწერა მისმა მამამ, რომელიც იმ ჟამად რეგენტობის როლს ასრულებდა სახელმწიფოში, მანვე დაავალა იუან შიკაის, დაემყარებია ჩინეთში რესპუბლიკური წესწყობილება. ჩინეთის რესპუბლიკამ იარსება სულ 5 წელი და 5 თვე და 1917 წ. 18 ივნისს მოისპო.

ამ დროს განმავლობაში არსებითად რესპუბლიკურ წესწყობილებისთვის არც ერთი ორგანო ნორმალურად არ შემდგარა. პირველი რესპუბლიკური პარლამენტი მოწვეული იქმნა 1912 წ. 21 აპრილს, რომლის შემადგენლობის უმრავლესობა იუან შიკაისთან ცუდ განწყობილებაში იყო. ამ გარემოებამ გამოარკვია, რომ პოლიტიკური მისწრაფება ჩინეთის სამხრეთისა და ჩრდილოეთისა დიდათ განირჩეოდენ ერთმანეთისგან. სამხრეთი რესპუბლიკურ იდეის წარმოშობის აკვანი იყო.

იქ წარმოიშვა რესპუბლიკური რევოლუციური მოძრაობა და ფეხი მხოლოდ ამ პროვინციაში მოიკიდა. სულ სხვა იყო კონსერვატიული ჩრდილოეთი. ის ემხრობოდა ძლიერი მთავრობის დაარსების იდეას და ზომიერ რეფორმებით კმაყოფილდებოდა. ჩრდილოელებს მიემხრო კარგათ გაწვრთნილი იუანშიკაის ლაშქარი ამ ჯარის საშვალებით იუანშიკაიმ და იმორჩილა უკიდურეს იდეალებისთვის მებრძოლი სამხრეთელები. და ამ დღიდან დიქტატორულ სურვილის ანხორციელება შეუდგა. 1914 წ. იუანშიკაიმ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისწრაფება გაანადგა, პარლამენტი დაითხოვა. შემდეგ გაიმართა პროვინციების დაკითხვა, რომლებიც ძალა უნებურათ ადმინისტრაციის ზედგავლენით იძულებული გახდენ იმპერატორობის აღდგენისთვის მხარი დაეჭირათ. მონარქია აღდგენილ იქნებოდა ნაპოლეონისებურის გზით რომ იუანშიკაი უეცრივ არ გარდაცვლილიყო.

ამის შემდეგ რესპუბლიკურ წესწყობილების განმტკიცებისთვის მეტი შანსები გამოჩნდა. ევროპა იმ ხანად საერთაშორისო ომს იწყებდა, რის გამოც მას არა სცალოდა ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარეოდა და რევოლუციის მიერ მოპოებული თავისუფლება თვით მპყრობელობის დაბრუნებით შეეცვალა. საქმე ისე იყო, რომ რესპუბლიკა თითქოს უნდა დამყარებულიყო მაგრამ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული ანტაგონიზმი უფრო ძლიერი გამოდგა.

როგორც იუანშიკაის დროს, ისე ახლაც აღმოცენდა უკიდურესი უთანხმოება თუმცა დიქტატორი არ გამოჩენილა, რომელსაც შესძლებოდა რესპუბლიკის მთელი ძალის ხელში ჩაგდება. უკანასკნელ დროს სახელმწიფოს ტახტ არევ დარევა მონარქიის აღდგენით დამთავრდა. ჩინეთი ორ ნაწილათ გაიყო. ჩრდილოეთის პროვინციამ მონარქიული მმართველობა შემოიღო, სამხრეთის პროვინციებში კი პეკინის მთავრობას ჩამოშორდა და ამ რამოდენიმე კვირის წინეთ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ჩინეთის ტახტზე ხელ ახლა აყვანილ იქმნა სიუან-ტუნი, რომელიც ამ ჟამადაც მცირე წლოვანია და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა არ შეუძლია. აღდგენილ მონარქიულ მმართველობას ჯერ თავისი სამოქმედო გეგმა არ გამოუქვეყნებია.

რესტავრაციის გამოცემულ მანიფესტში ნათქვამია, რომ განახლებულ იქნება 1909 კონსტიტუციური დაწესებულებებიო.

---

# დ ა რ ი გ ე ბ ა

## ქალაქის თვითმართველობისთვის, თუ როგორ უნდა ისარგებლოს დროებითი წესებით ხმოსნების არჩევნებისთვის

1. ქალაქის თვითმართველობა ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაჩქარებით მოახდინოს ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები თანახმად ახალ გამოცემულ დროებითი წესებისა (დროებითი მთავრობის დადგენილება 15 აპრილიდან 1917 წ., განყოფილება 2, დამატება 1; კანონთა და განკარგულებათა კრებული 1917 წ. მუხლი 529).

2. ქალაქის გამგეობანი წინა მუხლში მოხსენებულ საარჩევნო დროებითი წესების გამოქვეყნებისათანავე შეუდგებიან ქალაქის საარჩევნო სიების შედგენას და აგრეთვე ქალაქის კერძო საარჩევნო უბნებად დაყოფას, თუ ეს საჭირო იქნება ხმის მიცემის გასაადვილებლად.

ქალაქის გამგეობანი წინდაწინვე გამოითხოვენ ქალაქის საბჭოსაგან ნებართვას და წესრიგს იმისას, თუ რა დღეს, რომელ საათზე და რა ადგილას უნდა მოხდეს არჩევნები და ყოველივე ამას გამოაქვეყნებენ. ამასთანავე საბჭოსვე ნებართვით აქვეყნებენ სახმოსნო კანდიდატებისა და ამორჩეული ხმოსნების და მათ მოადგილეთა სიებს (დროებითი წესების მუხლები: 13, 14 და 33).

საგუბერნიო კომისარები ქალაქის თვითმართველობებს ხელს უწყობენ არჩევნების წარმოებაში მით, რომ აძლევენ საჭირო განმარტებას როგორც არჩევნების წარმოების შესახებ საზოგადოდ, ისე დროებითი წესებში მოხსენებულ არჩევნების დროსა და დღის დანიშვნის შესახებ და სხვა.

შენიშვნა: ამ „დარიგების" (ნაკაზის) წესები, რომელნიც ეხება ქალაქის საბჭოთ, ქალაქის თვითმართველობათა და ქალაქის მოურავებს, ეხება აგრეთვე ქალაქის რწმუნებულთა საკრებულოს და ქალაქის მამასახლისებს.

3. იმ ქალაქებში, რომელნიც არ არიან დაყოფილნი საარჩევნო უბნებად, შეადგენენ ამრჩეველთა ერთ სიას და მათ გვარებს დაალაგებენ ანბანის რიგზე. თუ ქალაქი დაყოფილია რამდენიმე საარჩევნო უბნად (დროებ. წესებ. მუხლები 1 და 7), მაშინ ერთი საზოგადო სიის მაგივრად შეადგენენ რამდენსამე სიას თითოეული უბნისათვის ცალკე და აქაც თვითოეულივე—საარჩევნო უბნის ამრჩევლების გვარებს დაალაგებენ ანბანის რიგზე. იმ პირს, რომელსაც რამდენსამე საარჩევნო უბანში აქვს ხმის უფლება, იმ უბანში შეიტანენ, რომელსაც ის წერილობითი დაასახლებს; თუ ასეთი განცხადება არ შეიტანა, მაშინ ქალაქის თვითმართველობის შეხედულობით მოათავსებენ ერთ-ერთ საარჩევნო უბნის სიაში.

4. ანბანზე დალაგებულ სიაში ჩაიწერება ამორჩეველთა გვარი, სახელი და მამის სახელი. სიაში შეტანილი ამრჩეველის გვერდით აღინიშნება: ა) რიგის ნომერი ქალაქის ყველა ამომრჩეველთა კვალობაზე ან და თითოეული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კვალობაზე, ბ) ამომრჩეველის წლოვანება იმ დღისათვის, როცა აღწერა იწყება; თუ სისწორით არ იქნება აღნუსხული წლოვანება, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამრჩეველი არა ნაკლებ 20 წლისა, გ) დროებითი წესების მე 3 მუხლში მოხსენებული ნიშნები, რომელნიც ამოწმებენ ამრჩეველის კავშირს და დროსთვის განსაზღვრულ ქალაქთან და დ) ამომრჩეველის მისამართი.

იმ ნიშნებად, რომელნიც ამრჩეველს აკავშირებენ ქალაქთან ითვლება: 1) ამომრჩეველის ცხოვრება ქალაქში საარჩევნო სიების შედგენის დროს; 2) იმ პირთათვის, რომელნიც საარჩევნო სიების შედგენის დროს ქალაქში არ იმყოფებიან —დრ. წეს. 3) მუხ. სხვა ნიშნებია (საოჯახო მოწყობილობა ქალაქში, სამსამსახური ან სხვა რამ განსაზღვრული საქმე) ამის და კვალობაზე საარჩევნო სიაში უნდა იყოს აღნიშნული ამრჩეველის ქალაქთან დამაკავშირებელი ყველა ის ნიშნები, რომელნიც დროებით წესების მე-3 მუხლშია მოხსენებული თითოეული კერძო შემთხვევისათვის.

6. საარჩევნო სიის შედგენის დროს კანონებს კრებენ ამრჩეველის შესახებ იმ პირთა შეკითხვის საშუალებით, რომელთაც შეუძლიათ ასეთი ცნობების მოწოდება, აგრეთვე დოკუმენტების გასინჯვით სათანადო დაწესებულებათა შემწეობით და სხვა.

ქალაქის თვითმართველობა საარჩევნო სიების შედგენის დროსვე მიმართავს ქალაქში დაბანაკებულ ჯარების ნაწილების და გარნიზონის უფროსებს თხოვნით, რომ მათ შეადგინონ ერთი საზოგადო სია ან და თუ ქალაქი დაყოფილია საარჩევნო უბნებათ, საუბნო სიები იმ პირთა რომელნიც სამხედრო ნაწილში და ქალაქის ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ (დრ. წეს. მუხლ. 3 და 11); ეს სიები უნდა წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში სამი დღის წინად მაინც გამგეობის მიერ დიმზადებული საარჩევნო სიების ხელ-მეორეთ საყოველთაო გასასინჯად გამოქვეყნების დრომდის.

7. საარჩევნო სიის შესადგენად ქალაქის გამგეობას შეუძლია მიმართოს, გარდა თავის ხელქვეითთა ქალაქში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც (ქალაქის სარაიონო, საუბნო ან საოჯახო სასურსათო და სხვა კომიტეტებს).

8) საარჩევნო სია შეიძლება დეიწეროს ხელით ან დამწერი მანქანის საშუალებით იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება; ამ სიის სტამბის, ლიტოგრაფიის და ან სხვა მექანიკური საშვალებით გამრავლებ-გავრცელება არაა სავალდებულო. საყოველთაო გასაშინჯათ გამოტანა როგორც პირველ შედგენილი ისე გასწორებული სიისა (დრ. მუხლ. 9 და 21) ხდება სიის გამოფენის საშუალებით თვალსაჩინო და სმრჩეველთათვის მისადგომ ადგილას ქალაქის გამგეობის ან სხვა რომელიმე შენობაში, - ან და სხვა საშუალებით, რომელსაც ქალაქის გამგეობა სცნობს მიზანშეწონილად. ამრჩეველთა საუბნო სიები სათანადო უბნებში გაიკვრება, საზოგადო, გინდ უბნის საარჩევნო სიების საყოველთაო გასაშინჯათ გამოფენის ადგილისა და დროს შესახებ ქალაქის მცხოვრებთ ეცნობებათ ადგილობრივ გაზეთებში განცხადების და ან რაიმე საშუალებით, ამასთანავე გამოცხადდება ისიც, რომ სიის ან სიების გასინჯვა შეიძლება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის.

9. როცა საარჩევნო კომისიებში შესდგება (დრ. სეს. მუხლები 15 და 16), ქალაქის გამგეობა დაუყონებლივ დაუგზავნის მათ საარჩევნო სიებს კუთვნილებისამებრ. არჩევნების მოხდენის დროს საარჩევნო სია უნდა იყოს არჩევნების შენობაში საარჩევნო კომისიის განკარგულებაში.

(შემდეგი იქნება)

---

# მოწერილი ამბები.

## არგვეთის საზოგადოება.

(ჭიათურის მხარე)

ივნისის 24-ს არგვეთის სოფლის კანცელარიის ეზოში მოხდა არგვეთის საზოგადოების საერთო ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია შემარიგებელი კამერები. ამ კამერებს ავალებდენ ამ საზოგადოებაში არსებული დიდი ტყეებისა და საძოვრების საქმის მოწესრიგებას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ დაადგინა არჩევნების გადადება.

შემთხვევით ამ კრებას დაესწრენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები ხალხმა მოითხოვა ამ წარმომადგენლებისაგან მათი პროგრამის ახსნა ილაპარაკეს კოწია ლომთაძემ და კოწია ვეფხვაძემ. პირველმა მკაფიოდ განუმარტა ხალხს მიწის საკითხი და აღნიშნა ისიც, თუ როგორ უყურებენ ამ საკითხს სოციალისტური პარტიები, ხოლო მეორემ გააშუქა ეროვნული საგანი და ზოგადად შეეხო მიწის საკითხსაც. ამათი სიტყვების შემდეგ ილაპარაკეს სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმაც. სოციალ დემოკრატების მხრივ ვეფხვაძემ და სოც. ფედერალისტების მხრივ სტუდენტმა კოტეტიშვილმა.

საერთო უნდა ითქვას, რომ ხალხის დიდი უმეტესობა მომხრე იყო კერძო საკუთრების პრინციპისა, როგორც ეს კრების მსვლელობამ დაგვანახვა. მხოლოთ სამწუხაროდ ჩვენდა, აქაც აღმოჩნდნენ გაფანატიკოსებული პირები, რომელნიც გაიძახოდენ: ავტონომია არ გვინდა—ავტონომია ნიშნავს თავად-აზნაურობის ბატონობასო და რუსეთისაგან ჩამოშორებასო. ხალხის დიდს უმრავლესობას კი, როგორც ეტყობოდა, თან და თან შეუგნია საქართველოს ავტონომიის აუცილებელი საჭიროება.

კრება დაიშალა საღამოს 7 საათზე.

ლე—კი.

---

# პასუხად ქ. ნინო ნადირაძეს.

ჩემი მიზანი, ჩემი იდეალი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს აყვავება, განვითარება და დაწინაურება არის, სულითა და გულით მიყვარს ის ადამიანი, ვინც ამ მიზნებს ემსახურება. 8 და 15 ივნისს, ქუთაისის კომერციულ სასწავლებელში, ქართველ მასწავლებელთა კრებაზე, თქვენ აშკარად დაამტკიცეთ, რომ ჩემ სათაყვანებელ ადამიანთა კრებას არ ეკუთვნით. პირველ კრებაზე უადგილოთ „პარუსკობდით" და მეორეზე ესაფუძვლოთ გამოესარჩლეთ რუსულ ენას.

გაზეთ „შრომაში" ფაქტების გადამახინჯებას და სიმართლის ღალატს მიკიჟინებთ დიდათ პატივცემულ ქართველო ქალო, არც ერთს და არც მეორეს, ამ თქვენ მიერ წამოყენებულ მარგალიტებს, მე ჩვეული არ გახლავარ საზოგადოთ და კერძოთ თქვენ მიერ აღნიშნულ შემთხვევაში სიცრუე ტეს, იმ სახით თქვენ რომ მწამებთ. რად ჩავიდენდი, როდესაც ჩემ წერილს კერძო, პირადული ხასიათი არ აქვს და გარდა ამისა, ხომ მოგეხსენებათ, კაცი ქურდობას იქ ჩაიდენს, სადაც მაყურებელი არა ჰყავს, და 15 ივნისის ქართველ მასწავლებელთა კრებაზე თავიდან ბოლომდის ყველა ისეთი პირები იყვნენ, რომელთაც მე დიდათ ვაფასებ და ამასთანავე, რომელნიც არასოდეს ფაქტების გადამახინჯებას არ მაპატიებდნენ, თუ წერილობით არა, სიტყვიერად მაინც. თქვენ გაუჯავრებიხართ ჩემი წერილის ერთ შენიშვნას და კალამი მიტომ აგიღიათ ხელში. აი ეს შენიშვნა: „ერთმა მანდილოსანმა ბატონ-ყმობის შემოღებაც კი აღიარა". ქ—ნო, ნინო ნადირაძე, დაუკვირდით და გონებრივად წარმოიდგინეთ 15 ივნისის ქართველ მასწავლებელთა შემადგენლობა და, თქვენ თუ ის ქალი ბრძანდებით, რომელიც გვერდით იჯდა აბაშიძის მარჯვენა გვერდით იჯდა, მაშინ ჩემი შენიშვნა თქვენზე სრული სიმართლეა. აი იმ მანდილოსანის პირდაპირი სიტყვები: „მართალი ყოფილა რომ ამბობენ, ბატონყმობის შემოღება უნდათო". ამას ბ. ბ. აბაშიძეც დაამოწმებს და ხუსკივაძეც. დანარჩენი თქვენი შენიშვნები ბავშვური მსჯელობის ნაყოფია და პასუხს არ გაძლევ, ვისურვებ თქვენ კარგ ქართველობას,

მ. ბუაჩიძე. (მ. ქ.)

---

# იძულებითი პასუხი „ამხანაგს".

გაზ. „სამშობლოს" № 524-ში გამოცხადებული მქონდა, რომ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დამიგვიანდა საპასუხო წერილი „ამხანაგთან", რომელსაც გაზეთ „ჩვენი მეგობრის" 225-ში მოთავსებული ჰქონდა წერილი სათაურით: „ლაშხეთი და ლაშხელები". ხსენებულ წერილის ავტორი („ამხანაგი") აღნიშნავს, სხვათაშორის, რომ ქვემო-სვანეთის მასწავლებლები პირდაპირი მოვალეობის—მოწოდებითი მასწავლებლობის ნაცვლათ ხელობით მასწავლებლობას ეწევიანო. განსაკუთრებით კი მე ამოუღივარ მიზანში და დაბეჯითებით ამბობს, ვითომ მე ასეთი ხელობითი მასწავლებლობით ვმდიდრდებოდე.

„ამხანაგო"! თქვენ მიერ წამოყენებული ბრალდებანი მარტო ლიტონ სიტყვებზეა დამყარებული და მეორეთ საყურადღებოა ის, რომ თქვენსა და ჩოლურის საზოგადოების მცხოვრებთა შორის საკმაოთ გამწვავებულია დამოკიდებულება, განსაკუთრებით 1912 წ. 20 დეკემბრის კანონის გამოცხადების შემდეგ. აქედან გასაკვირი არ არის, რომ თქვენ თქვენს მოწინააღმდეგე ჩოლურების ერთგულ მასწავლებელს არ დაზოგავდით. მაგრამ რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ მასწავლებელმა სინიდისს არ უღალატა და თქვენდა მეორეთ სატყავებლათ ჩოლურლები ხელშეკრულობაში ვერ შემოიყვანა. თქვენის და თქვენი თანამოაზრეების შთაგონებით, დაბეზღებით ყოფილი მაზრის უფროსი ენკელი გადასახლებით რისთვის მემუქრებოდა 1913 წ.

გულწრფელად მოგახსენებ, „ამხანაგო", რომ ჩემი მოვალეობა, როგორც სახალხო მასწავლებლისა, მარტო სკოლაში ანა-ბანის სწავლებით არ განისაზღვრება, არამედ მე ყოველთვის მზათ ვიყავი და ეხლაც მზათა ვარ ხალხს ყოველ შემთხვევაში—ჭირსა თუ ლხინში თანაგრძობა და დახმარება გაუწიო, რითაც კი შემეძლება. ხალხმაც ამ მოპოებულ თავისუფლების და სიხარულის დროს დამიმტკიცა მისი ჩემდამი ნდობა და სიყვარული. რაც ჩემში სრულ კმაყოფილებას იწვევს. თქვენ კი სხვაფრივ წარმოგიდგენიათ ჩემი დამოკიდებულება ხალხთან. მაგრამ გარწმუნებ, რომ ეგ შეხედულება სწორი არ არის.

ჩემი პასუხი მოკლეთ ასეთია: თუ თქვენ ამის შემდეგაც თქვენ თავი დანაშაულათ არ მიგაჩნიათ იმ წერილში, რომლითაც მე უსამართლოთ გამომედავეთ, იმ შემთხვევაში მე გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში გამოგყვეთ შემდეგის პირობით: 1) სამედიატორო სასამართლოს საგანი იქნება ყველა თქვენ მიერ აღნიშნული ჩემდამი მიმართ ბრალდებანი; 2) საქმე უნდა გაირჩეს ადგილობრივ—ჩოლურის საზოგადოებაში; 3) მოწმეების დაკითხვა უნდა მოხდეს სვანური ჩვეულებისამებრ; 4) ტყუანმა მხარემ გადაიხადოს ჯარიმა არა ნაკლები ორასი მანეთისა *) და 5) მედიატორეთა განჩინება გამოცხადდეს ქართულ გაზეთში, ჩემის მხრით მედიატორებად ვასახელებ ჩოლურის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს გრიგოლ [illegible], ამავე საზოგადოების მცხოვრებს ელენე ბარდაფხაძის ასულს და ლაშხეთის აღმასრულებელ კომიტეტის წევრს [illegible]. თქვენ კი გეძლევათ დასახელოთ თქვენის მხრით მედიატორები და [illegible] დანიშნოთ დრო საქმის გარჩევათ დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა სამის კვირის განმავლობაში.

ჩოლურის სკოლის მასწავლებელი

პ. კოპლატაძე.

*) ეს ფული გამტყუნებულმა მხარემ უნდა გადასცეს სოფ. ახალ ჭალის (ლეჩხ. მაზრ.) წიგნთ საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ.

ავტ.

---

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ნინო ასათიანის ასულს მახარაძისას, რომელმაც კეთილ ინება და ნაცნობებს შორის შეაგროვა ბახვის პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებელთან არსებულ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოთ 23 მ. 20 კ. შემომწირველთა სია: ორ-ორი მანეთი: ნინო მახარაძისამ, სერაფიონ მახარაძემ, გრიგოლ ყიფიანმა. თითო მანეთი: ანა მენაბდე, მარდარ მიქელაძე, დათიკო ნიჟარაძე, კოლია ჯოჯია, რაჟდენ შავგულიძე, ვიკტორ ჯურუხაძე, გალაქტიონ შავანგირაძე, ვალერიან ცინცაძე, თედორე მეფარიშვილი, ნესტორ დარახველიძე, სიმონ ჩექურიდოვი, სიმონ კილაძე. კოლია ალავიძე ნიკოლოზ მახარაძე.

ათ-ათი შაური: მირიამ გოგოლაძე, ზაქრო გოზალოვა, სოლომონ ნუცუბიძე, ილიკო აბაშიძე, ბიკტორ კაკალაძე: ექვსი შაური: ვანო კიორგოვი; თითო აბაზი: ვარლამ ჩიქოვანი, ტარასი ცომაია.

პატივისცემით გამგეობის მონდობილობით გამგ. წევრი

ვასო ჰელიძე.

---

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

---

# ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

---

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში მესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

---

# რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან სააგარაკო | დღის | 2 ს. 48 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |
| ბათუმისაკენ სააგარაკო | დღის | 3 ს. 16 | წ. |

---

## თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

### განცხადება.

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია „**ჩვენი ახალი მწერლობა**", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა „**ია ეკალაძე. მოთხრობები**", წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში